საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონკურსო

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ. თბილისი 02 09 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე **გ. სებისკვერაძე,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსი **ს. ჯანელიძე,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **თ. კრიჭინაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

ქ.ზუგდიდში, გორის ქ.№3-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს არსებული შენობის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ტერიტორიაზე ახალი (ასაშენებელი) შენობის სრული პროექტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1252-ე კონკურსზე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ანტონ გლავაცკის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც N1252–ე კონკურსზე დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა მონაწილემ:

1) შ.პ.ს. "ვოლმა" საკონკურსო წინადადება წარმოადგინა წინადადების ღირებულებით 12000 ლარი;

განიხილეს:

საკონკურსო კომისის წევრებმა განხილეს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის შპს „ვოლის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რომელიც სრულად შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ასევე კომისიის წევრების მიერ საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დიზაინისა და საკონკურსო წინადადების ფასის კომპონენტების შეფასების (კომისიის წევრების შეფასების მონაცემები ოქმს ერთვის თან) საფუძველზე, **ქ.ზუგდიდში, გორის ქ.№3-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს არსებული შენობის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ტერიტორიაზე ახალი (ასაშენებელი) შენობის სრული პროექტის** შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1252 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინეს შპს "ვოლი".

დაადგინეს:

1. **ქ.ზუგდიდში, გორის ქ.№3-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს არსებული შენობის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ტერიტორიაზე ახალი (ასაშენებელი) შენობის სრული პროექტის** შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1252 კონკურსში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-4 მუხლის 3) პუნქტის შესაბამისად გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს "ვოლი".

2. სახელმწიფო შესყიდვების სამმართველომ უზრუნველყოს:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-4 მუხლის 9) პუნქტის შესაბამისად, კომისიის სხდომის ოქმის ხელმოწერის შემდეგ, მისი და კონკურსის სხვა დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასკანირებული სახით წარდგენა (სააგენტოს ელექტრონული ფოსტა contest@procurement.gov.ge) საკონკურსო განცხადების სტატუსის განსაზღვრის მიზნით.
- კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტის მომზადება.

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით გამარჯვებული პრეტენდენტის შპს "ვოლის" მოწვევა.

საკონკურსო კომისიის წევრები:

გ. სებისკვერაძე

ს. ჯანელიძე

თ. კრიჭინაშვილი